ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 4 (9415)

7 იანვარი, ოთხშაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.



# წითელი ბარათი ბიუროკრატიზმს

## კვების საბუთი

ახლა ალბათ შეუძლებელია იმის დადგენა, ვინ და როდის დააკანონა ეს უკუღმართი წესი: როცა ბავშვები სპორტულ შეჯიბრებებზე მიჰყავთ, მწვრთნელი ვალდებულია ანგარიშსწორების დროს განათლების ადგილობრივი განყოფილების ბუღალტერიას წარუდგინოს... ქვითარი ან სხვა საბუთი, იმის დასადასტურებლად, რომ ნორჩ სპორტსმენებს ნამდვილად კვებავდნენ და დაიხარჯა ამდენი და ამდენი თანხა. არა, ნუ გგონიათ ფულის ხარჯვა მადის გათვალისწინებითაა ნავარაუდევი. ვთქვათ, თითოეულ მოზარდზე დღეში 2 მანეთია გამოყოფილი. მხოლოდ ამ თანხის შესახებ უნდა შექმნას მწვრთნელმა დოკუმენტი (მთლიან გუნდზე).

ეს რომ ადვილი საქმე იყოს, კიდევ არაფერი. მაგრამ მწვრთნელები პირდაპირ გაწამებული არიან აქეთ-იქით სირბილით. ყველა სასადილო საბუთს არ იძლევა, ან, თუ მოგცემენ, ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანიზაციიდან უნდა ნებართვა, ზოგს ბეჭედი არა აქვს, რომ საბუთი დაამოწმოს, ზოგან დირექტორს ვერ ნახავ, როცა შენ გინდა და ა. შ. დრო კი, დრო გარბის, სტუმრებმა ყველაფერი უნდა მოასწრონ, ხდება ხოლმე, მწვრთნელები უმეთვალყურეოდ ტოვებენ მოზარდებს და კვების დამადასტურებელი ქვითრის საშოვნელად დარბიან. ბევრჯერ ვერც ახერხებენ ამ საბუთის „მოპოვებას“ და საკუთარი ჯიბიდან აბრუნებენ ფულს სალაროში.

რატომ? სიმართლე გითხრათ, სამარცხვინოც უნდა იყოს, მწვრთნელს არ ენდო, ეჭვი შეიტანო, რომ ბავშვებს მშიერს დააძინებს და ასევე მშიერს გაიყვანს შეჯიბრებაზე. პირიქით, მწვრთნელები იმაზე მეტსაც ხარჯავენ, ვიდრე მივლინება ითვალისწინებს (ცხადია, საკუთარი თანხებიდან). მაშ, რატომ არ ვენდობით აღმზრდელს, რატომ ვურთულებთ საქმეს უცხო რაიონში თუ ქალაქში ჩასულს, რატომ ვაქცევთ პედაგოგს ბიუროკრატიზმის მსხვერპლად, რატომ ვფლანგავთ ფუჭად იმ დროს, რომელიც მწვრთნელმა თავის აღსაზრდელებთან უნდა გაატაროს და არა კვების ობიექტებზე სირბილში? ან ამდენ ქაღალდს რაზე ვხარჯავთ?

დავინტერესდით, მაგრამ კონკრეტულად ვერავინ გვითხრა, რა სახელმძღვანელო არსებობს ისეთი, ასე რომ ართულებს და პრობლემად აქცევს შეჯიბრებების დროს მივლინებაში მყოფი მოზარდების კვების საკითხს. შეიძლება მართლაც არის სადმე ასეთი ინსტრუქცია, მაგრამ რა ვუყოთ. ახლა, როცა ასე თამამად ვებრძვით ყველაფერს დრომოჭმულს, როცა ახლებური აზროვნებით ბევრი რამ დღეს სასაცილოდაც კი გვეჩვენება, რატომ არ უნდა ვთქვათ უარი ასეთ, თამამად შეიძლება ითქვას, „ცინიკურ ინსტრუქციაზე?“. უნდა ვთქვათ და რაც შეიძლება ჩქარა.

# რა, სად, როდის?

## როგორც ვიუწყებოდით, სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს საქართველო უმასპინძლებს

| | | |
|---|---|---|
| წყალბურთი | თბილისი | 18-26 ივნისი |
| ტანვარჯიში (სპორტული) | ბათუმი | 14-18 ივლისი |
| ძალოსნობა | ცხინვალი | 21-26 ივლისი |
| კრივი | ქუთაისი | 21-27 ივლისი |
| ფრენბურთი: | | |
| ჭაბუკები | თბილისი | 21-29 ივლისი |
| გოგონები | სოხუმი | 21-29 ივლისი |
| მძლეოსნობა | თბილისი | 22-24 ივლისი |
| ცურვა | ხობი | 22-26 ივლისი |
| ჭადრაკი | სამტრედია | 22-31 ივლისი |
| ველოსპორტი (გზატკეცილი) | თბილისი | 23-26 ივლისი |
| ნიჩბოსნობა (ბაიდარა და კანოე) | ფოთი | 23-26 ივლისი |
| ფეხბურთი | თბილისი<br>რუსთავი | 23 ივლისი — 2 აგვისტო |
| მაგიდის ჩოგბურთი | თელავი | 24-29 ივლისი |
| სამბო | თბილისი | 25-28 ივლისი |
| ხელბურთი: (ჭაბუკები და გოგონები) | თბილისი | 27 ივლისი — 3 აგვისტო |
| ტანვარჯიში (მხატვრული) | ბათუმი | 28 ივლისი — 1 აგვისტო |
| კლასიკური ჭიდაობა | თბილისი | 31 ივლისი — 3 აგვისტო |
| ფარიკაობა | ქუთაისი | 1-8 აგვისტო |
| კალათბურთი (ჭაბუკები და გოგონები) | თბილისი | 1-9 აგვისტო |
| ჩოგბურთი | თბილისი | 2-9 აგვისტო |
| ბადმინტონი | თელავი | 3-9 აგვისტო |
| წყალში ხტომა | თბილისი | 4-8 აგვისტო |
| ტყვიის სროლა | სოხუმი | 4-9 აგვისტო |
| თავისუფალი ჭიდაობა | თბილისი | 6-9 აგვისტო |
| ნიჩბოსნობა (აკადემიური) | ფოთი | 6-9 აგვისტო |
| ძიუდო | გორი | 7-9 აგვისტო |






# ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდება

**21 მარტს** ალმა-ათაში ადგილობრივ არმიელთა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩით დაიწყება 24-ე საკავშირო ჩემპიონატი რეგბიში. შეჯიბრება ორ — უმაღლეს და პირველ ლიგად დაყოფილ 24 გუნდს შორის ჩატარდება. უმაღლეს ლიგაში სულ 12 გუნდი ითამაშებს, რომელთაგან სამი — ქუთაისის „მშენებელი“, თბილისის „შევარდენი“ და „ლოკომოტივი“ საქართველოს წარმომადგენელია.

საკავშირო სპორტსახკომის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდება: უმაღლესი ლიგის გუნდები ჯერ ორწრიან მიმოსვლით ტურნირს გამართავენ (თითოეული გუნდი 22 მატჩს ჩაატარებს), შემდეგ ამ ტურნირის შედეგების მიხედვით მონაწილენი ორ ექვსეულად დაიყოფიან, რომელთაგან პირველის წევრები საპრიზო ადგილებისათვის, მეორისა კი — უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. შეჯიბრება ექვსეულებშიც ორ წრედ, მიმოსვლით ჩატარდება (გუნდები კიდევ 10-10 მატჩს გამართავენ). უმაღლეს ლიგაში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები გაისად პირველ ლიგაში გადაინაცვლებენ. მათი ბედი შეიძლება გაიზიაროს მეათე ადგილზე გასულმა გუნდმაც, თუ

იხ. მე-4 გვ.

# ჰასტინგსში...

**ჰასტინგსის** (ინგლისი) მოჭადრაკე ვაჟთა დიდ საახალწლო საერთაშორისო ტურნირში შვიდი ტური გათამაშდა. დანიელ დიდოსტატ ბენტ ლარსენთან ორჯერ გადადებულ პარტიაში მაია ჩიბურდანიძემ ვერ შეძლო მყარი „ციხესიმაგრის“ აგება და თავი დამარცხებულად ცნო. II ტურში, როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა დაამარცხა ინგლისელი პიტერ ლარჯი. შემდეგ იგი ზედიზედ ხუთჯერ დაუზავდა მეტოქეებს: ანდრაშ ადორიანს (უნგრეთი), ჯონათან სპილმენს, ჯონათან მესტელს (ორივე — ინგლისი), ედუარდ გუფელდსა და სერგეი კუდრინს (აშშ).

ამრიგად, მაია ჩიბურდანიძემ 3,5 ქულა დააგროვა. გუფელდს 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

# კიეველთა ორი გამარჯვება

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიუნხენში გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელშიც სსრ კავშირის ჩემპიონები — კიევის დინამოელებიც გამოდიან.

კიეველები პირველად ჰოლანდიის ცნობილ „აიაქსს“ შეხვდნენ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:0 (2:0). ასეთსავე სასტარტო მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტმა“ მოუგო ავსტრიის „სვაროვსკი-ტიროლს“ — 4:2 (3:0).

ამის შემდეგ კიეველები შეხვდნენ „სვაროვსკი-ტიროლს“ და კვლავ გაიმარჯვეს — 6:2.

# პირველი წარმატებები

**სეზონის** პირველივე სტარტებიდან — საბჭოთა კავშირის თასის ზონალურ გათამაშებაში, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს საბჭოთა მძლეოსნებმა.

ცსკა-ს საფეხბურთო-მძლეოსნურ მანეჟში დიდი წარმატებით იასპარეზა მოსკოველმა ოლგა ნაზაროვამ. მან 500 მეტრზე სირბილში ბრწყინვალე შედეგი აჩვენა — 1.08,8. მსოფლიო მიღწევებს გადააჭარბეს აგრეთვე ლიუბოვ კირიუხინამ 600 მეტრზე სირბილში — 1.26,0 და გალინა ჩისტიაკოვამ სამხტომში — 13 მ. 98 სმ. სარბენ ბილიკებზე მამაკაცთა შორის თავი გამოიჩინეს ანდრეი ფედორინმა (200 მ. — 21,4) და იგორ ლოტორევმა (1000 მ. — 2.23,7).

„კოლმეურნეობა სისტემატურად მუშაობს სოფლის კულტურისა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით აშენებს... სპორტულ მოედნებს, ქმნის თვითმოქმედებისა და ფიზიკური კულტურის წრეებს სოფლის ახალგაზრდობისათვის“.

კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გული გულობდეს და...

ღია წერილი წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას თბილისის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვანო სამუშიას

თქვენი სოფელი ლამაზიცაა და ეკონომიურადაც ძლიერი. სახელიც კეთილხმოვანი აქვს — ლია. წლის ყოველ დროს მოჩხიბლავია ეს სოფელი. ახლაც, ზამთარშიც, ზუგდიდ-ჯვარზენის გზატკეცილის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ ოდა სახლებს მწვანე კოწნდარის დეკორატიული ღობეები, ადესის ტალავერი, სხვადასხვა ჯიშის ხეხილი ამშვენებს. ეგაა, რომ ძველებურად აღარ ჩოგრგვინავს ენგური. იგი ხომ ახალ კალაპოტში და ქვეყნის სამსახურშია ჩამდგარი.

5 000-მდე მცხოვრებია თქვენს სოფელში. არის საშუალო, 8-წლიანი და დაწყებითი სკოლები, ბაგა-ბაღი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები. ყველაფერი ის, რაც თანამედროვე სოფელს სჭირდება. განვითარებულია მეჩაიეობა, მეცხოველეობა, ჩეაბრეშუმეობა, მეხილეობა. ენგურჰესის მშენებლობამაც ერთგვარად სოფელი ეკონომიკურად გაძლიერა. ახლა აქ ლამის ყოველ მეორე სახლის ჭიშკართან მსუბუქი ავტომანქანა დგას.

თქვენ, ბატონო ვანო, ამ სოფლის შვილი ბრძანდებით, აქ აღიზარდეთ და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდით. დღეს კი, თბილისის სახელობის კოლმეურნეობას უდგახართ სათავეში. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 16 წლის წინ აგირჩიეს. გვახარებს ის, რომ თანასოფლელები არ გემდურიან. ბევრი რამ სასარგებლო გააკეთეთ და ამიტომ ყველაფრის ჩამოთვლას ვერ შევძლებთ. მაგრამ ზოგიერთს მაინც გავიხსენებთ: სოფლის ცენტრში ადმინისტრაციული, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები აშენდა, მალე საექსპლუატაციოდ ვადაეცემა 200-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღის შესანიშნავი ნაგებობა. სამომავლოდაც ბევრის გაკეთებას გვპირდებით. უმადური უნდა იყოს კაცი, ყველაფერი ეს რომ არ დაინახოს, მაგრამ ისეთი რამ დაგრჩენიათ უყურადღებოდ, რომ მის გარეშე, როგორც იტყვიან, ფასი ეკარგება ყველაფერს, რადგან ახალგაზრდები გულს ვერ დაუდებენ საქმეს — საოცარია, რომ თქვენს სოფელს ერთი ხეირიანი, თუნდაც მარტივი ტიპის სპორტული მოედანიც არა აქვს. ამის შესახებ არაერთხელ თქმულა პარტიულ თუ კომკავშირულ კრებებზე, რაიონის ხელმძღვანელობამაც გთხოვათ ამ საქმის მოგვარება, მაგრამ თხოვნა რატომღაც გულთან ახლოს არ მიგიტანიათ. დღეს ბავშვების მიერ ბურთის სათამაშოდ გამოძებნილი ადგილი სავალალოდ გამოიყურება — ფეხბურთის კარების ძელები დამპალია, შემოუღობავი ჩოედანი პირუტყვის სათარეშოდ ქცეულა.

მართალია, გადაგიწყვეტიათ სტადიონის აშენება, ადგილიც შესაფერისი გამოგინახიათ, მაგრამ ეს მშენებლობა ჯერ გეგმაში არ არის შეტანილი, არადა, სამეურნეო წესით ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება გაგიძნელდებათ, რადგან მის აგებას ალბათ რამდენიმე წელი დასჭირდება. მანამდე კი, მეტი რა გზაა, ახალგაზრდებს მარტივი ტიპის მოედნები უნდა მოუწყოთ პალურში, მახარიაშიც, სოფლის ცენტრში, ჯვარზენის საზღვართან.

ბატონო ვანო, სპორტისთვის რომ ზურგი გიქცევიათ, თქვენგან გვიკვირს, რადგან რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, რამდენიმე წელი, თავად ბრძანდებოდით... განა უხერხული არაა, თქვენი სოფლის ახალგაზრდები მეზობელ სოფლებში დადიოდნენ ბურთის სათამაშოდ? ნუთუ ამ საკითხის მოგვარება თქვენს მაღალრენტაბელურ, მდიდარ კოლმეურნეობას უჭირს? მოგეხსენებათ, გული გულობდეს და...

გვინდა ჩვენი შენიშვნები საახალწლო სურვილებად მიიღოთ. ახალ-ახალ გამარჯვებებს გისურვებთ 1987 წელს.

---

გულშემატკივრის კუთხე

მატჩის დამთავრების შემდეგ იგი კარგა ხანს არ ტოვებს სტადიონს, ახალგაზრდებით გარშემორტყმული ვილაცას ცხარედ ეკამათება. ზოგმა შეიძლება იფიქროს, ნეტავი რა აღელვებს ასეთი უფერული და ერთმანეთის მსგავსი მატჩების მაყურებელსო, მაგრამ თუ მოვუსმენთ, დავრწმუნდებით, რომ სწორედ ეს უფერულობა და უსახურობა აღელვებს. ახლა იგი გულშემატკივარია, მაგრამ თუ სპორტსმენების მსგავსად, გულშემატკივრებსაც თანრიგების მიხედვით დავყოფთ, ვერნი ალფაიძეს უმაღლესი თანრიგი უნდა მივანიჭოთ...

# რომანტიკული, შემტევი



ვერნი ალფაიძე, დღეს ასე მხნედ რომ გამოიყურება, 1947-1951 წლებში თბილისის ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა, ამ სკოლის ვერცხლის მედლით დამთავრების შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა, ახალგაზრდული და სტუდენტური ნაკრების წევრი იყო. გამოდიოდა სხვადასხვა გუნდში, ერთ დროს ნალჩიკის „ტრუდის“, შემდეგ კი „სპარტაკის“ ღირსებას იცავდა. ახლა იგი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის დოცენტი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობს.

**● ზოგისთვის ფეხბურთი გართობაა, ზოგისთვის — ცხოვრების ნაწილი. თქვენთვის, ფეხბურთი ალბათ ძალიან ბევრს ნიშნავს.**

— პირადად მე უკვე 43-ე საფეხბურთო სეზონის დადგომას ველი. ამ ხნის მანძილზე, როგორც გულშემატკივარს, თბილისის „დინამოსთვის“ არ მიღალატია. ვესწრები კალენდარულ მატჩებს, საკონტროლო და საერთაშორისო შეხვედრებს, არც სხვა ქალაქებიდან გადაცემულ მატჩებს ვტოვებ უნახავს. დიახ, ჩემი ცხოვრების გარკვეული ნაწილი ფეხბურთთან არის დაკავშირებული. გარდა იმისა, რომ ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებს, ფეხბურთი იმიტომაც მიყვარს, რომ მან ბევრი მეგობარი შემძინა.

**● თქვენ, როგორც სპორტსმენი არაერთი კონფლიქტის მოწმე გამხდარხართ. ერთი აგვიხსენით, რა იწვევს მწვრთნელთა და გულშემატკივართა დავას?**

— გულშემატკივრის საზომი მისი გემოვნებაა. მე გემოვნება ჩამომიყალიბა თბილისის ომისშემდგომი „დინამოს“ თამაშის სტილმა, ენერგიულმა, შემტევმა, რომანტიკულმა თამაშმა. თბილისელები თამაშის თავიანთი მანერით საყოველთაო ალტაცებას იწვევდნენ, ისინი საპრიზო ადგილებისკენ და ჩემპიონობისკენ მიისწრაფოდნენ, თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც ყოველთვის ხალხით გაჭედილ სტადიონებზე თამაშობდნენ. ყველას უნდოდა ენახა პაიჭაძე, ჯეჯელავა, ღოღობერიძე, შემდეგ მესხი, მეტრეველი, იამანიძე. ასეთი მოთამაშეები იშვიათად იბადებიან, მაგრამ ნამდვილი მწვრთნელი „რკინის ქალამანს“ ჩაიცვამს, კარდაკარ ივლის და მაინც აღმოაჩენს ტალანტს.

გულშემატკივარს ხშირად არ მოსწონს მწვრთნელის ზედმეტი პრაქტიციზმი. მოგეხსენებათ, მწვრთნელები ითვალისწინებენ მოთამაშის ასაკს, მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ მონაცემებს, ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების დონეს და ა. შ., რომელთაც, ჩვეულებრივ, ობიექტურ მონაცემებს უწოდებენ ხოლმე, გულშემატკივრის საზომი (საფეხბურთო გემოვნება) კი სუბიექტური გახლავთ.

ზოგიერთ მწვრთნელს თვალში არ მოსდის ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც მისი აზრით ზედმეტი ინდივიდუალობით გამოირჩევიან, ამიტომ იყო უნიკალური ფეხბურთელი — მიხეილ მესხი კინაღამ რომ დავკარგეთ. რატომ? სწორედ მისი არაორდინარულობის განსაკუთრებულობის გამო. როცა მიხეილ მესხი თბილისის „დინამოში“ თამაშს იწყებდა, გუნდში იყვნენ ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთაც კოლექტივისთვის საჭიროდ თვლიდნენ, მიშას მიღებაზე კი ყოყმანობდნენ, მეტსაც გეტყვით, ზოგს ზედმეტადაც მიაჩნდა იგი. ჯერ კიდევ ჭაბუკი მიშა წასვლასაც კი აპირებდა „დინამოდან“, და ალბათ ფეხბურთიდანაც. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ქართული ფეხბურთი და მისი ისტორია მიხეილ მესხის გარეშე, მათ შორის, ვინც კრიტიკულ სიტუაციაში მესხს გამოექომაგა, იყო ჩვენი დიდი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია, რომელსაც ისე, როგორც არავის, შეეძლო ფეხბურთელის უნარის, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გამოცნობა. ბატონი ანდრო მეტად კულტურული, თავაზიანი, გულისხმიერი ადამიანი იყო. ნიჭიერი ფეხბურთელი თავისებური შემოქმედია და თუ მწვრთნელიც ასეთი არ არის, მათ შორის კონფლიქტი გარდაუვალია.

ხშირად დავსწრებივარ ბავშვთა და მოზარდთა გუნდების საწვრთნელ მატჩებს. მწვრთნელის ხმამაღალი სიტყვა მეტწილად მოთამაშის მოქმედებას, მის ინიციატივას ზღუდავს. ფეხბურთელის იმპროვიზაცია მწვრთნელის უკმაყოფილებას იწვევს და იგი თავად კარნახობს მოთამაშეს: არ მოატყუო, ნუ ატარებ, აქეთ მიეცი და ა. შ. და ამ მითითებების შეუსრულებლობისათვის ტუქსავს. ასე ეჩვევა ფეხბურთელი სხვისი კარნახით მოქმედებას, უინიციატივობას.

ერთი სიტყვით, ვთქვათ დაუფარავად, ქართული ფეხბურთი კარგი, კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობას განიცდის. ამ საქმეს მიხედვა უნდა.

**● თქვენ, როგორც ყოფილი თავდამსხმელი, განსაკუთრებული ყურადღებით ალბათ თავდამსხმელთა თამაშს ადევნებთ თვალს.**

— დიახ, თავდამსხმელი ყოველთვის მაყურებლის ყურადღების ცენტრშია, მისი კერპია. რა თქმა უნდა, ფეხბურთი ვითარდება და სხვადასხვა სათამაშო სქემებით მდიდრდება, მაგრამ მე მაინც იმ დალოცვილ დროს ვნატრობ, როცა ფეხბურთელებს მეტოქის კარისკენ უფრო ჰქონდათ თვალი და ყური მიქცეული, ვიდრე საკუთარისკენ. ისინი 5 თავდამსხმელით თამაშობდნენ, ახლა კი თუნდაც ერთი გოლის გაშვება საკუთარ კარში ტრაგედიად იქცევა ხოლმე, თავდამსხმელთა რიცხვი პირველად ბრაზილიელთა მწვრთნელმა ფეოლამ შეამცირა, თუმცა ფეხბურთის ზოგი ისტორიკოსის აზრით, მას წინამორბედი ჰყავდა მიხეილ იაკუშინის სახით. არც ერთი და არც მეორე შეტევების სიმძაფრის შენელებას არ მოითხოვდა, პირიქით, გავიდა დრო და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! სამი, ორი, ერთი თავდამსხმელი! ხომ გახსოვთ, კიევის „დინამო“ წლების განმავლობაში ერთი ფორვარდით (ხმელნიცკი) თამაშობდა, უფრო სწორად, თამაშობდა კი არა, მინდორზე მძიმე და მოსაბეზრებელ სამუშაოს ასრულებდა. ამიტომაც იყო, რომ სტადიონები დაცარიელდა, ფეხბურთმა მაყურებელი დაკარგა. 1967 წლის ზაფხულში პარიზში ფრანგები, რომელთაც ახალბედა მწვრთნელი ჟიუსტ ფონტენი ჰყავდათ, საბჭოთა ფეხბურთელების გუნდს 4 თავდამსხმელით ეთამაშნენ, რაც იმ დროისათვის მკრეხელობად მიიჩნიეს. წერდნენ კიდეც, მრავალნაცადმა მიხეილ იაკუშინმა ჩინებულად გამოიყენა ეს შეცდომა და მატჩი მოიგო. სინამდვილეში ფრანგებმა მატჩი იმიტომ კი არ წააგეს, რომ 4 თავდამსხმელით თამაშობდნენ, არამედ იმიტომ, რომ ფიზიკურად სუსტად იყვნენ მომზადებულნი. განა ახლა ცოტანი თამაშობენ ერთი თავდამსხმელით, განა ერთი და ორი გუნდი იცავს საკუთარ კარს 6 მცველით? ამის შემხედვარეთ რა რომანტიკაზე, სანახაობრიობაზე შეგვიძლია ლაპარაკი. თავდამსხმელები გვჭირდება, ჩვენ კი შემტევ ფეხბურთელებს ძალიან ხშირად მცველობას ვაკისრებთ.

**● ბატონო ვერნი! თქვენ, ცხადია, თვალს ადევნებდით უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატს. გაგვიზიარეთ შთაბეჭდილება.**

— ჩემი სუბიექტური აზრი ასეთია: თანამედროვე ფეხბურთი ნამდვილი ტალანტებით ღარიბია. სადღა არიან ალტაცების მომგვრელი ფეხბურთელები — პელე, ბეკენბაუერი, კრუიფი. სამწუხაროდ, მარადონა ერთადერთია. ზოგს კოლოსალური რეკლამა აქვს, რას არ წაიკითხავ მათ შესახებ, მაგრამ თამაშს ნახავ და ხელში „შიშველი მეფე“ შეგრჩება.

**● თქვენ ბრძანეთ, რომ დიდი ინტერესით ელოდებით ახალ სეზონს.**

— მე მწამს ქართული ფეხბურთის, მჯერა, რომ „კიდევაც დაიზრდებიან“, მჯერა, რომ გამოჩნდებიან ახალი პაიჭაძეები და ჯეჯელავები, რომ ჩვენი ბიჭები კიდევ ბევრჯერ ისახელებენ თავს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. ამ იმედით სულდგმულობს ჩვენი გულშემატკივარი. მაშ ასე, იმედი არ მოგვშლოდეს, საფეხბურთო გემოვნებას არ ეღალატოს ჩვენთვის, ქომაგობის უნარი არ დაგვკარგოდეს. ქართველ ფეხბურთელებს დღეს გამხნევება და მხარში ამოდგომა სჭირდებათ.

ესაუბრა
ბიჭი გამრეკელი.

---

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „დიახ, ჯანსაღი სულისა და სხეულისათვის“

**გაზეთ „ლელოს“ 29 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ეთერ ხახუბიას წერილი „დიახ, ჯანსაღი სულისა და სხეულისათვის“, რომელშიც ავტორი საკითხს სვამდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-7 კვარტალში მიწაყრილის მოსწორებისა და სპორტული მოედნის მოწყობის შესახებ.**

**ამასთან დაკავშირებით ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ტყეშელაშვილმა და ამავე რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ნ. მაჭარაძემ გვაცნობა, რომ ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო აშენებს სამსართულიან მიწისქვეშა ავტოსადგომს. 1969 წელს დაწყებული ეს მშენებლობა წლების მანძილზე სხვადასხვა მიზეზის გამო შეჩერებული იყო და მხოლოდ 1983 წლიდან განახლდა.**

**ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ავტოსადგომის მფლობელი) და კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს (მშენებლობის დამკვეთი) რწმუნებით, აღნიშნული ობიექტის მშენებლობა დამთავრდება 1987 წელს და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.**

---

# მომავალ ოლიმპიელთა წარმატება

1986 წლის ბოლოს ზაგორსკში ჩატარდა 1969-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძალოსანთა ტურნირი. შეჯიბრებაში კარგად იასპარეზეს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლის აღსაზრდელებმა (დირექტორი თ. ჭუბაბრია). წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესნი იყვნენ: რ. ხარკისიანი (48 კგ), ა. ძაგოევი (58), დ. ტატულოვი (56), ა. კაზარიანი (75) და ნ. დუნამალიანი (82).

აღსანიშნავია, რომ ა. კაზარიანმა ორჭიდის ჯამში (112,5-150) — 262,5 კგ. მოაგროვა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი. ზემძიმე კატეგორიაშიც მან გაიმარჯვა (მწვრთნელი ვ. ყორყოლიანი).

ო. გედოშვილი.



საბჭოთა კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# ...ონკრეტული ...რობლემები და ...დარღვეული ...ალენდარი

იმის გამო, რომ უმაღლესი ლი-...ის კალათბურთელ ვაჟთა საკავში-...ო ჩემპიონატის კალენდარი არა-...წორად არის შედგენილი, ზოგი-...რთ გუნდს გამოტოვებული მატ-...ები დაუგროვდა, ზოგი კი ზუს-...ად მოყვება განრიგს. კალენდრის ...ვლილებები გამოწვეულია იმით, ...ომ ჩვენი ქვეყნის სამი წამყვანი ...უნდი — კაუნასის „ჟალგირისი“, ...ოსკოვის ცსკა და ლენინგრადის „სპარტაკი“ ევროპის საკლუბო ტუ-...ნირებში თამაშობს, სწორედ ამის ...ამო დონეცკის ტურის განრიგი ...თლიანად დაირღვა და იქ მოას-...არეზე კოლექტივები „ჟალგი-...რისს“ კაუნასში ესტუმრნენ. მოს-...ოვის ტურში კი ცსკა-მ ყველა შეხ-...ედრის ჩატარება ვერ მოასწრო.

კალენდარულ მატჩებს რიგის ...ურის მონაწილენი მეტ-ნაკლე-...ად ზუსტად ატარებენ, ოღონდ აქ ...ამაშები ერთი დღის დაგვიანებით ...აიწყეს.

**რიგა.** შინ, როგორც ამბობენ, ...იდია „საკუთარი კედლების“ მხა-...დაჭერა. ეს კარგად ჩანს ადგი-...ობრივი ვეფ-ის მაგალითზეც, რო-...ელმაც ჩემპიონატის ამ ეტაპზე ...თავარი პრობლემა უნდა გადაწ-...ვიტოს — მოხვდეს ფინალისტთა ...ქვეულში.

...რიგი შეხვედრა რიგელებს კი-...ვის „სტროიტელთან“ ჰქონდათ. ...ირველი ტაიმი მეტ-ნაკლებად და-...აბული ბრძოლით აღინიშნა. ვეფ-...ა ტაიმი 5 ქულის უპირატესობით ...ოიგო — 53:48. მასპინძლების ...პირატესობა შესვენების შემდეგ ...ერო გამოიკვეთა. სადღაც ტაი-...ის შუაგულში რიგელებმა 14-...ულიან უპირატესობას მიაღწიეს ...ა ინიციატივა ხელიდან აღარ გა-...უშვეს — 99:85.

...ქ, ჯგუფის მეორე შეხვედრა-...ში ვილნიუსის „სტატიბამ“ ყოვე-...ლგვარი სირთულის გარეშე აჯობა ...ინსკის რტი-ს 91:74 (51:32).

**მოსკოვი.** ჩატარდა მხოლოდ ...რთი მატჩი, რომელშიც კიევის ...რმელებმა ალმა-ათის თანაკლუ-...ელები დაამარცხეს — 99:85 (53:48). უკრაინელი კალათბურთე-...ლები მესამე ადგილის რეალურ ...რეტენდენტებად ითვლებიან.

# თბილისის ჩემპიონატზე

**დამთავრდა თბილისის 1986 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი I და II ჯგუფების გუნდებს შორის.**

პირველ ჯგუფში, ხანგრძლივი ტურნირის შემდეგ (ჩემპიონატი 9 თვეს გაგრძელდა), 16 გუნდს შორის დაწინაურდნენ საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტისა და თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივები, რომლებმაც ქულათა თანაბარი (44-44) რაოდენობა მოაგროვეს, ისინი ჩემპიონის გამოსავლენად შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი საინტერესოდ წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 1:0 „მეტროპოლიტენის“ სასარგებლოდ. ეს გუნდი 1986 წლის ჩემპიონი (პირველად) გახდა (უფროსი მწვრთნელი შ. კაპანაძე, მწვრთნელი ი. სუჯაშვილი). 1987 წლის საფეხბურთო სეზონში გუნდი მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკურ გათამაშებაში. მეორე ადგილი წილად ხვდა საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს (მწვრთნელი გ. გეგია), მესამე ადგილი საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის გუნდმა დაისაკუთრა (მწვრთნელი ს. კიკალეიშვილი). პირველი ჯგუფი დატოვეს აეროფლოტის „შევარდენმა“, ტაქსომოტორების „მოტორმა“ და თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. მეორე ჯგუფში გამარჯვებული რესპუბლიკური სამომხმარებლო (?) ... თუთო-საცალო გაერთიანება „სპორტსაქონლის“ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი მ. ყაულაშვილი) და ტაქსომოტორების ფეხბურთელთა გუნდი „ტაქსი № 3“ (მწვრთნელი ი. სააკიანი) მომავალი სეზონიდან პირველ ჯგუფში იასპარეზებენ.

გათამაშების მეორე წრეში თამაშებზე გამოუცხადებლობისათვის ჩემპიონატიდან მოიხსნა ტაქსომოტორების გუნდი „მოტორი“ და აეროფლოტის გუნდი „შევარდენი“, რომელთა საკითხიც განხილული იქნა თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმზე. ადგილობრივი ორგანიზაციები ალბათ სათანადოდ შეაფასებენ მომხდარ ფაქტს.

წლევანდელ ჩემპიონატში თბილისის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა 10 საუკეთესო არბიტრი გამოავლინა (ანბანის მიხედვით). I და II ჯგუფის გუნდების თამაშებს სჯიდნენ: დ. გაგნიძე, ო. გუნთაძე, ზ. დარჩია, გ. თხელიძე, მ. მალაღურაძე, რ. მგელაძე, გ. ნამგალაძე, თ. სოფრომაძე, გ. ხეჩუაშვილი, ა. შილაკაძე..

**ავთანდილ კოკაია,**
**თბილისის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სექტორის გამგე, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

საკონტინენტთაშორისო თასი

# „რივერ პლეიტი“

**მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მარადონასა და მისი თანაგუნდელების ტრიუმფიდან ექვსი თვის შემდეგ, არგენტინულმა ფეხბურთმა ახალი, მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა. ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტმა“ ტოკიოში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ბუქარესტის „სტიაუა“ და საკონტინენტთაშორისო თასი დაისაკუთრა.**

**საფეხბურთო** კლუბი „რივერ პლეიტი“ დაარსდა 1901 წელს, ბუენოს აირესის გარეუბანში — ლა ბიკაში. ამ კლუბში აღიზარდნენ ფეხბურთის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან ალფრედო დი სტეფანო, ენრიკე სივორი, ერმინდო ონეგა. მოგვიანებით ამ კლუბის ღირსებას იცავდნენ ლუის არტიმე, ლეოპოლდო ლუკე, უბალდო ფილოლი, მარიო კემპესი, ენცო ფრანჩესკოლი...

„რივერ პლეიტი“ განსაკუთრებით კარგად 1952-1957 წლებში თამაშობდა. მაშინ გუნდმა ზედიზედ გაიმარჯვა ბუენოს-აირესის პირველობაში, მას შემდეგ კი კიდევ ოცჯერ გახდა არგენტინის ჩემპიონი. 60-იან წლებში გუნდი ღრმა კრიზისს განიცდიდა. ახალი აღმავლობის ხანა დაიწყო 1975 წელს კლუბში დანიელ პასარელას მოსვლით: გუნდმა ორჯერ ზედიზედ მოიგო ეროვნული ჩემპიონატი.

ორი წელია რაც „რივერ პლეიტს“ ექტორ ვიერა, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი წვრთნის. მან ტოკიოში გამოცდილი, ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩაიყვანა. გუნდში ყურადღებას იქცევენ ნახევარმცველები ნორბერტო ალონსო და ტექნიკური, მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელი ხუან ფუნიესი, რომელიც გუნდში მხოლოდ ოთხი თვის წინ მოვიდა. ვიერას აზრით, ხუან ფუნიესი იდეალურ პარტნიორობას გაუწევს მარადონას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. დაცვაში საიმედოდ თამაშობს ოსკარ რუჯერი და ურუგვაელი ანტონიო ალსამენდი, რომელმაც გადამწყვეტი გოლი გაიტანა რუმინელებთან შეხვედრაში.

ფინალურ მატჩში „რივერ პლეიტმა“ ვერ აჩვენა მისთვის ჩვეული ლამაზი, შემტევი ფეხბურთი. ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტმა უგო სანტილიმ განაცხადა: „ერთი თამაში ყველაფერს წყვეტდა! ნათელი იყო, რომ გაიმარჯვებდა გუნდი, რომელიც პირველი გაიტანდა გოლს. ამიტომ რისკს მოვერიდეთ, თანაც მეტოქის ნახევარდაცვა მეტად მობილური იყო...“

წლევანდელ სეზონში „რივერ პლეიტმა“ ფრანჩესკოლის გარეშეც (გადავიდა პარიზის „რასინგში“) ხუთი ტურით ადრე გაინაღდა ჩემპიონის ტიტული. უკანასკნელ ტურებში გუნდი სათადარიგო შემადგენლობით თამაშობდა, რადგან ძირითადი მოთამაშეები ფინალისათვის ემზადებოდნენ, რამაც თავისი ნაყოფი გამოიღო: „რივერ პლეიტმა“ თავისი არსებობის მანძილზე პირველად მოიპოვა საკონტინენტთაშორისო თასი!

**დავით დემეტრაშვილი.**

ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატი

# მატჩი პელეს მონაწილეობით

**ბრაზილიელი** ფეხბურთის მოყვარულები, ამ ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა, პრესა წარმოუდგენლად დიდ ინტერესს იჩენს ვეტერან ფეხბურთელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატის მიმართ, რომელიც ბრაზილიის ქალაქებში სან-პაულუში და სანტოსში მიმდინარეობს. ჩემპიონატში მონაწილეობენ იმ ქვეყნების ნაკრები გუნდები, რომლებიც სხვადასხვა წლებში მსოფლიო ჩემპიონთა წოდებას ფლობდნენ (ბრაზილია, არგენტინა, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ურუგვაი). მოთამაშეთა ასაკია 35 წელი და მეტი.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბრაზილიისა და იტალიის გუნდების შეხვედრამ, რომელიც სან-პაულუს „პაკაემბუს“ სტადიონზე შედგა, ტრიბუნები გაჭედილი იყო მაყურებლებით, ისინი ვერ შეაშინა ტროპიკულმა წვიმამაც, რომელმაც სათამაშო მინდორი ერთიანად დატბორა და აატალახიანა. 50 ათასი მაყურებელი თვალს არ აცილებდა წარსულის გამოჩენილ ოსტატთა დაძაბულ შეხვედრას.

ბრაზილიელთა რიგებში გამოდიოდნენ პელე, ედუ, რიველინო, დარიო, იტალიელთა შორის იყვნენ ალბერტოზი, ფაკეტი, დამიანი, ბონინსენია და სხვანი.

ბრაზილიელებმა თავიანთ მეტოქეებზე აშკარად უკეთ ითამაშეს, მაყურებლები ბევრს ელოდნენ პელესგან და გამოჩენილმა ვირტუოზმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა.

თამაშის 39-ე წუთზე იტალიელთა მცველმა ლელიმ საკუთარ კარში გაიტანა გოლი. შესვენების შემდეგ პელემ აკრობატულ ნახტომში მოათავსა ბურთი იტალიელთა კარში, მაგრამ ურუგვაელმა არბიტრმა რ. ბარეტომ იგი არ ჩათვალა, ვინაიდან პელემ ხელებიდან გამოაცალა ბურთი მეკარე ალბერტოზის. 69-ე წუთზე პელემ ზუსტად გადააწოდა ბურთი რიველინოს, ანგარიში გახდა 2:0, მატჩის დამთავრებამდე მცირე ხნით ადრე კი დარიომ მესამედ აიძულა იტალიელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში — 3:0.

ქ. სანტოსში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1, არგენტინელთაგან მინდორზე გამოირჩეოდნენ ბრინდიზი და ბაბინგტონი, დასავლეთგერმანელთაგან — ბრაიტნერი, ფიშერი, ვებერი, კრემერსი.

ვეტერან ფეხბურთელთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საერთაშორისო საფეხბურთო წრეების ყურადღების ცენტრშია.

მკითხველი — გაზეთი

### პირველი ნაკრების პირველი მატჩი

**● თბილისელი ფეხბურთის მოყვარული დ. წულუკიძე გვეკითხება: „როდის შეიქმნა სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები, ვის შეხვდა პირველად და როგორი შემადგენლობით ითამაშა“.**

პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველმა ნაკრებმა 1952 წელს ჩაატარა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე ბულგარეთის ნაკრებთან. საბჭოთა გუნდის შემადგენლობა: ივანოვი, კრიჟევსკი, ბაშაშკინი, ნირკოვი, ნეტო, პეტროვი, ტროფიმოვი, ტენიაგინი, ბობროვი, ლოლობერიძე, ილინი. გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 2:1.





საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტს, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელს, დღეს ბევრი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი. ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისათვის ისეთი კადრების აღზრდა, რომლებიც XXI საუკუნეში იმუშავებენ, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს ინსტიტუტს. მატერიალურ-სპორტული ბაზის განმტკიცების პარალელურად მიმდინარეობს გარდაქმნები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, რასაც უმაღლესი სკოლის რეფორმა ითვალისწინებს. გუშინ ინსტიტუტში მეცადინეობა განაახლეს დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებმა. ეს ფოტოსურათებიც ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებში და სპორტულ ბაზებზე გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში**

# ჩემპიონატი ახლებურად ჩატარდება

(დასასრული)

იგი პირველი ლიგის გამარჯვებულთან გადასასვლელ მატჩებში დამარცხდება. პირველ ლიგას სულ ცოტა ოთხი სუსტი გუნდი მაინც დატოვებს და 1988 წლისთვის უმაღლეს და პირველ ლიგებში 10-10 გუნდილა დარჩება.

საგრძნობლად შეიცვალა გათამაშების კალენდარიც. ჩემპიონატი სამ ეტაპად გაიმართება. პირველი 21 მარტიდან 12 აპრილამდე გასტანს. კალენდრის შემდგენლებმა ამ ეტაპისათვის გუნდები ორ პირობით ჯგუფად გაყვეს: ე. წ. სამხრეთის ჯგუფში დაწყვილდნენ ქუთაისის „მშენებელი“, თბილისის „ლოკომოტივი“, კიევის „ავიატორი“, ტირასპოლის „ელექტრომაში“, თბილისის „შევარდენი“ და ალმა-ათის ასკ. „ჩრდილოეთის ჯგუფი“ შეადგინეს მონინოს სსა-მ, მოსკოვის „ფილიმ“, ლენინგრადის „პრიმორეცმა“, კრასნოიარსკის „ეტს“-მ, მოსკოვის „სლავამ“ და „ლოკომოტივმა“. პირველ ეტაპზე „ჩრდილოეთის“ გუნდები ეწვევიან „სამხრეთის“ გუნდებს და წყვილ-წყვილად გამართავენ 6-6 თამაშს. ამ შეხვედრებს შორის ინტერვალი 3-4 დღეა. შემდეგ შეჯიბრებაში ერთთვიანი შესვენება გამოცხადდება, რაც საბჭოთა ნაკრების ფირა-ს თასის გათამაშების დასკვნით სამ თამაშში მონაწილეობითაა გამოწვეული. ჩემპიონატი 12 მაისს განახლდება და ივლისის ბოლომდე გასტანს. ამ ეტაპზე „ჩრდილოეთისა“ და „სამხრეთის“ გუნდები ჯერ ცალ-ცალკე გამართავენ წრიულ ტურნირებს და პირველი წრის პროგრამას ამოწურავენ, შემდეგ კი გაერთიანდებიან და მეორე წრეს ჩაატარებენ, რის შედეგადაც გაირკვევა ლიდერთა და აუტსაიდერთა ორი ექვსეული. მესამე ეტაპზე, სექტემბერ-ოქტომბერში, სწორედ ამ ექვსეულთა შორის გამართული დამოუკიდებელი შეჯიბრებების შემდეგ განაწილდება ადგილები. მეორე და მესამე ეტაპებზე მატჩებს შორის შუალედი მეტწილად 5 დღეა.

ახლებურ კალენდარს თავისი ღირსება-ნაკლოვანებები აქვს: მართალია, ამიერიდან უარყოფილია ბოლო ორ სეზონში ფეხმოკიდებული შაბათ-კვირის დაწყვილებული მატჩები, რაც უდავოდ ცუდად მოქმედებდა რეგბისტების ჯანმრთელობაზე და თამაშის ხარისხზე, მაგრამ შეიცვალა ჩვენში 1972 წლიდან დამკვიდრებული რეგბისტთა შეხვედრების მხოლოდ უქმე დღეებში გამართვის მოსაწონი ტრადიცია.

ახალი სისტემის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გააუქმეს 1982 წელს შემოღებული ცენზები, რომლებიც გუნდებს ავალდებულებდა ტანმაღალი (194 სანტიმეტრზე მაღალი) და ჭაბუკი (18 წლამდე) რეგბისტებიც ჰყოლოდათ შემადგენლობაში.



გუდაურის პეიზაჟი. ვალერიან გენგიურის ფოტო.

**ინფორმაცია**

**ნიუ-იორკი.** 16 წლის კიეველმა ვლადიმერ პეტრუშენკომ პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ამერიკის ქალაქ პორტვაშინგტონში ჩატარდა. ფინალში იგი შეხვდა თავის თანამემამულეს, უფელ ანდრეი ჩერკასოვს და დაამარცხა იგი — 4:6, 6:0, 6:3.

**ბაზელი.** მაგიდის ჩოგბურთის ევროპელ ისტატთა ტურნირში „ტოპ — 12“ გაიმარჯვეს ჩილა ბატორფიმ და დესმონდ დუგლასმა (დიდი ბრიტანეთი). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო მოსკოველი ფლიურა ბულატოვა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

**ვეტერანი — მწყობრში**

# ეროვნული სპორტის სამსახურში

გივი ლაშქარავა ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა გვეჯე ივანიძე ცხენებსა და მეცხენეებს არჩევდა და ცხაკაიაში საცხენოსნო სპორტს უყრიდა საფუძველს. ოცნებით შეჰყურებდა პატარა გივი მარულის მონაწილე სახელოვან მხედრებს ქორა გრიგოლიას, ლასი ლაშქარავას, ლევთერ არდიას, დავით ოთხოზორიას, ვანო შამათავას, ვალიკო წურწუმიას და იმ დღეზე ფიქრობდა, როცა თავად შეძლებდა ცხენზე ამხედრებას. მშობლებს გაეპარებოდა, ხოლმე და შორიდან უყურებდა გვეჯესა და მისი გუნდის წევრების ვარჯიშს.

გვეჯეს არ გამოჰპარვია ბიჭის დიდი ინტერესი. არაერთხელ ენახა, რა მარდად აჭენებდა იგი უბელო ცხენს. ამ ბავშვისაგან კარგი სპორტსმენი დადგებაო, იფიქრა და თოთხმეტი წლისა თავის გუნდში ჩარიცხა.

ეს იყო 1946 წელს. გივი მართლაც საუკეთესო ცხენოსანი დადგა. სულ მალე იგი რესპუბლიკის ნაკრებშიც მიიწვიეს.

„1959 წელს ქართველი ცხენოსნები მოსკოვში საკავშირო პირველობაზე გამოვდიოდით, — იხსენებს გივი, — ასპარეზობას მარშალი ბუდიონი ესწრებოდა. მე საკუთარი ცხენი მყავდა — „ქუჩუ“. გუმანით გრძნობდა მხედრის განწყობილებას. თუ გავიმარჯვებდით, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, თვალები უბრწყინავდა. დამარცხებისას, თითქოს რცხვენიაო, გვერდზე გადგებოდა. როცა „ქუჩუმ“ ყველა დაბრკოლება ლამაზად გადალახა, ბუდიონმა აღტაცებულმა მომაძახა „молодец грузин“. გადამწყვეტი ბრძოლა მოძმე სომხეთის ცხენოსნებს მოვუგეთ და პირველი ადგილი' დავიკავეთ. სახელოვანმა მარშალმა ჩვენთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღო. სურათზე აღბეჭდილი არიან საქართველოს ნაკრების წევრები საშა დარასელია, ვახტანგ დარსალია, ანზორ შონია, ბუჭუ გამრეკლიძე, ვანო ბერაძე, ლადო ბერძენიშვილი, ლადო კორძაია, კოკი დგებუაძე, ნანული მელქაძე, ლეონტი ლაშქარავა, ფაცო ხაინდრავა და სხვები. ბუდიონის გვერდით დგას თბილისის იპოდრომის მაშინდელი დირექტორი კაპიტონ ნაჭყებია“.

60-იან წლებში რაიონში ცხენოსნობისადმი ყურადღება შენელდა. გივი მაინც ვერ შეელია ძველ გატაცებას, ჩოხა-ახალუხს არ იხდიდა და ცხენზე ამხედრებული დადიოდა. სჯეროდა, რომ ცხენოსნობა კვლავ აღორძინდებოდა.

ეს დღეც დადგა. იგი პირველი ამოუდგა მხარში ორგანიზატორებს და რაიონში კვლავ აღორძინეს ძველი ტრადიცია. შეიქმნა საცხენოსნო კლუბი, შეიძინეს ცხენები და გივის წინამძღოლობით ცხაკაიელმა სპორტსმენებმა არაერთი გამარჯვება მოიპოვეს.

გივი მაგიდაზე აწყობს მედლებს, ვიმპელებს, დიპლომებს, მადლობის ბარათებს, ქების სიგელებს. ბევრი გამოვიდა... იგი მადლიერებით იხსენებს იმ ხალხს, ვისთან ერთადაც უხდებოდა სასპარეზოდ გამოსვლა.

„მართალია, ცხენოსნობა აღორძინების გზაზეა, მაგრამ ეს პროცესი ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, — ამბობს გივი. — ადრე ყველა კოლმეურნეობას საკუთარი სპორტული ცხენები ჰყავდა, დღეს კი სამეურნეო ხელმძღვანელებს ცხენი სოფლად გამწევ ძალადაც არ უნდათ ჰყავდეთ. ამის გამოა, რომ საქართველოს პირველობაში ათიოდე რაიონის სპორტსმენები მონაწილეობენ. გული მწყდება, ჩვენმა ახალგაზრდებმა ცხენოსნობის ელემენტარული წესები, ცხენზე ჯდომა რომ არ იციან. დავიწყებას მიეცა რაიონებში მარულის ჩატარების კარგი ტრადიცია“.



საქართველოს ცხენოსანთა ნაკრები მოსკოვში. მათთან ერთად არის მარშალი ს. ბუდიონი (სურათი გადაღებულია 1959 წელს).

გივი ლაშქარავა დღეს საცხენოსნო კლუბის მწვრთნელია. იგი ბავშვებს ავარჯიშებს ეროვნულ სახეობებში.

ცხაკაიაში ცხენოსნობის განვითარებას დღეს კარგი პირი უჩანს. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით საცხენოსნო კლუბს ყველა პირობა აქვს შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. ახალი იპოდრომი, რომელიც აქ შენდება, კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს მისცემს ახალგაზრდა სპორტსმენებს. ისინი ბევრნი არიან. მსურველი კი კიდევ მეტია, რაც სპორტის ამ სახეობის უკეთესი მერმისის საწინდრად მიგვაჩნია.

**ნუგზარ ჟვანია.**

ცხაკაია.

**დიდი დამსახურება**

პოლონეთში საზეიმოდ აღინიშნა გამოჩენილი მწვრთნელის კაზიმეჟ გურსკის დაბადების 65 წლისთავი. გურსკი 1945-1951 წლებში ვარშავის „ლეგიაში“ თამაშობდა, გამოდიოდა ეროვნულ ნაკრებშიც, მაგრამ თვალსაჩინო წარმატებებს მწვრთნელად მუშაობის დროს მიაღწია. 1972 წელს პოლონელებმა მისი ხელმძღვანელობით ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვეს, 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდნენ, 1976 წელს კი, ოლიმპიადაზე, ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ახლა გურსკი პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციაში მუშაობს.

**ცისფერ ეკრანზე...**

**ცენტრალური ტელევიზია.** 7 იანვარი. დილის დაჭერვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.15 (2)**; საკალათბურთო მიმოხილვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის ნაკრების ტურნეს შედეგების შესახებ — **20.15 (2)**.

# ქალბატონ დე ვიტის არგუმენტები

ამას წინათ მოსკოვში სტუმრად იყო ქალთა წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე ქალბატონი დე ვიტი.

— თქვენი ქალთა გუნდები, სამწუხაროდ, ჯერ საერთაშორისო სარბიელზე არ გასულან, — თქვა დე ვიტმა. — მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უახლოეს ხანში მოხდება. ქალთა წყალბურთს თავისი თავისებურებები და პრობლემები აქვს, მაგალითად სხვადასხვა ქვეყნის მწვრთნელებს სხვადასხვაგვარი მოსაზრება აქვთ მოთამაშეების შერჩევაზე. ერთნი ამბობენ, რომ მომავალი წყალბურთელი ქალი ბავშვობიდანვე უნდა აღიზარდოსო, ხოლო მეორენი ფიქრობენ ქალთა წყალბურთს ყველაზე უფრო ყოფილი მოცურავეები ესაჭიროებაო, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ვეტერანი სპორტსმენი ქალები თავიანთ შესაძლებლობებს წყალბურთში ჩინებულად ავლენენ, მაგალითად, შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ქალთა წყალბურთის დებიუტი შედგა, საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაისაკუთრა 28 წლის ჰოლანდიელმა ვან დე ვინმა. აქ ბევრმა ოცდაათ წელს გადაცილებულმა ქალმა გამოიჩინა თავი. ექიმებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ წყალბურთი ქალებისთვის არაფრით არ არის მავნებელი.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს სასწავლო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექცია

ა ც ხ ა დ ე ბ ს

მიღებას ჯანმრთელობის ჯგუფებში.

ძიუდოს ჯგუფში მიიღებიან 10 წლისა და უფროსი ასაკის გოგონები, ჩინური სამკურნალო ტანვარჯიშის ჯგუფში — ყველა ასაკის ქალები და მამაკაცები.

ჩვენი მისამართია: პლეხანოვის გამზირი № 95. ტელეფონი: 95-63-78.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი: 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06707